20/02/2026

MES 6 26 0000197330

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი
სხდომის თარიღი: 06.02.2026
სხდომის დაწყების დრო: 14:00
სხდომის დასრულების დრო: 15:10
საბჭოს თავმჯდომარე: ლევან შავაძე (I, II და III საკითხებზე)
სხდომის თავმჯდომარე ქეთევან აფთარაშვილი (IV საკითხზე)
საბჭოს მდივანი: ვაჟა კელიხაშვილი (I, II და IV საკითხებზე)
სხდომის მდივანი: ციური დურული (III საკითხზე)

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" (შემდეგში-აკრედიტაციის დებულება)27^2-ე მუხლის მე-13 პუნქტისსაფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით. საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.
საგანმანათლებლოპროგრამებისაკრედიტაციის(შემდგომში -საბჭო)სხდომაზედამსწრეწევრები:

1. **ლევან შავაძე** - სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრარულ საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი - საბჭოს თავმჯდომარე;
2. **ქეთევან აფთარაშვილი** - შპს - აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის განათლების მეცნიერებების ფაკულტეტის დეკანი - საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
3. **ვაჟა კელიხაშვილი** - (ა)იპ - საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის სტუდენტთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის მენეჯერი, საბჭოს მდივანი;
4. **თეა მჭედლური** - შპს ,,უნივერსიტეტი ალტერბრიჯის" ხარისხის სამსახურის კონსულტანტი;

5. **ირინა ლობჟანიძე** - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ლინგვისტურ კვლევათა ინსტიტუტის დირექტორი, მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე ენისა და ლიტერატურის მიმართულებით პროფესორი.
6. **ნარგულ ასანიძე** - სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტექნოლოგიური ფაკულტეტის აგროეკოლოგიისა და სატყეო საქმის დარგობრივი დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი;
7. **ქეთევან ნანობაშვილი** - შპს - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის პროფესორი, ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის დეკანი;
8. **ციური დურული** - სსიპ - გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტის პროფესორი, სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსი;
9. **ქრისტინე ახალაძე** - საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ - საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს იურიდიული სამმართველოს უფროსი;
10. **ვლადიმერ ადეიშვილი** - სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის სწავლების მეთოდიკათა დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი, პედაგოგიური ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
11. **დავით კაპანაძე** - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახურის უფროსი, ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის პროფესორი.
12. **მაქსიმ იავიჩი** - შპს კავკასიის უნივერისტეტის პროფესორი, კიბერუსაფრთხოების ცენტრის ხელმძღვანელი;
13. **მზია წიკლაური -** შპს - გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის მედიცინის სკოლის ასოცირებული პროფესორი;
14. **თამარ ზარანდია -** სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, იურიდიული ფაკულტეტის დეკანი;
15. **ელიზბარ ელიზბარაშვილი -** ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებების და ბიოტექნოლოგიის სკოლის დეკანი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები

ქეთევან პავლიაშვილი -უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი.
ლალი ოდიშვილი - -უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი.

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები

შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი
გოდერძი ბუჩაშვილი - ვიცე-რექტორი ადმინისტრაციული მიმართულებით;
ნონა ზუმბაძე - ხარისხის აუდიტი;
ანა გვრიტიშვილი - ხარისხის განვითარების დეპარტამენტის ხელმძღვანელი;
ნინო ჯოჯუა - რექტორის მრჩეველი ხარისხის განვითარების მიმართულებით;
მარინა რაზმაძე - კომპიუტერული მეცნიერებისა და არქიტექტურის სკოლის დეკანი;

ნანა იაშვილი -გრაფიკული დიზაინის ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი;

შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტი
სერგო ტეფნაძე - საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის რექტორი;
დავით ტეფნაძე - საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის რექტორის პირველი მოადგილე;
გიორგი ინასარიძე - რექტორის მოადგილე საფრენოსნო დარგში;
ნინო ღაჭავა - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
ტატო ლაფაური - ავიაციის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;

სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
თეა კორძაძე - უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
ინგა აბრამიძე - ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
სულხან კუპრაშვილი - "საქართველოს ისტორიის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი;
სერგო ვარდოსანიძე - "საქართველოს ისტორიის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი;
მერაბ ჭუმბურიძე - "არქეოლოგიის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი

აკრედიტაციის ექსპერტები
მილან პოლი (Milan Pol) – II საკითხი;
მამუკა ბენაშვილი -II საკითხი;
თამთა ცხოვრებაძე - II საკითხი;
თამარ თხელიძე -II საკითხი;
გორან დურდევიკი (Goran Đurđević) - III საკითხი;
გურანდა ჭელიძე - III საკითხი;
ვაჟა მამიაშვილი- III საკითხი;
ია ნაცვლიშვილი - III საკითხი;
გიორგი ფარეშიშვილი - III საკითხი;

აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ ლევან შავაძემ. საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 27^5-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს სხდომა დაიწყო: 14:00 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის "გრაფიკული დიზაინის" ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა.
2. შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის "საჰაერო ხომალდების საფრენოსნო ექსპლუატაციის (პილოტი)" და "საჰაერო ხომალდების საფრენოსნო ექსპლუატაციის (პილოტი)" ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.
3. სსიპ -აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის "საქართველოს ისტორიის" და "არქეოლოგიის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით.

- კი

შუამდგომლობა დააყენა ცენტრის თანამშრომელმა, რომელიც უკავშირდება 2026 წლის 21 იანვრის სხდომის ოქმში ტექნიკური ხარვეზის გასწორებას.

დამტკიცებული დღის წესრიგი:

1. საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2026 წლის 21 იანვრის №46590 ოქმის მე-9 ნაწილში ტექნიკური ხარვეზის გასწორების შესახებ;
2. შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის "გრაფიკული დიზაინის" ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილ ანგარიშის განხილვა.
3. შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის "საჰაერო ხომალდების საფრენოსნო ექსპლუატაციის (პილოტი)" და "საჰაერო ხომალდების საფრენოსნო ექსპლუატაციის (პილოტი)" ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.
4. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის "საქართველოს ისტორიის" და "არქეოლოგიის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

პირველი საკითხი: საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2026 წლის 21 იანვრის №46590 ოქმის მე-9 ნაწილში ტექნიკური ხარვეზის გასწორების შესახებ;
საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ კი

თვითაცილება განაცხადა ელიზბარ ელიზბარაშვილმა. **თვითაცილების საფუძველი - შრომითი ურთიერთობის არსებობა დაწესებულებასთან.**

პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა.
ცენტრის თანამშრომელმა სოფო ქურასბედიანმა დააყენა აღნიშნული შუამდგომლობა, რომელიც უკავშირდება 2026 წლის 21 იანვრის აკრედიტაციის საბჭოს სხდომის ოქმში ტექნიკური ხარვეზის გასწორებას. ხარვეზი კონკრეტულად უკავშირდება ოქმის მეცხრე ნაწილს - ა(ა)იპ საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის „სურსათის ტექნოლოგიების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის პირობითი აკრედიტაციის მინიჭების გადაწყვეტილებაში ცვლილების საკითხს. კერძოდ, ოქმის მე-9 ნაწილში მითითებულია, რომ 2.2 კომპონენტში დაკორექტირდა რეკომენდაცია, თუმცა რეალურად რეკომენდაცია დაკორექტირდა 2.1 კომპონენტში, ხოლო 2.2 კომპონენტში ექსპერტების მიერ საერთოდ არ ყოფილა გაცემული რეკომენდაცია.

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2026 წლის 21 იანვრის №46590 ოქმის მე-9 ნაწილში ტექნიკური ხარვეზის გასწორების შესახებ; ("ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის „სურსათის ტექნოლოგიების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის პირობითი აკრედიტაციის მინიჭების გადაწყვეტილებაში ცვლილების შესახებ")

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 14
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომაზე დაფიქსირებული გარემოებებისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, გასწორდეს საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2026 წლის 21 იანვრის №46590 ოქმის მე-9 ნაწილში ტექნიკური ხარვეზი და განაწყვეტილების ნაწილის "დ" ქვეპუნტი ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:
"დ) საბჭომ 2.1 კომპონენტში დააკორექტირა რეკომენდაცია და ჩამოყალიბდა შემდეგი სახით, რეკომენდებულია, პროგრამაში დაზუსტდეს და განისაზღვროს უცხო ქვეყნის არაქართულენოვანი მოქალაქეებისთვის ქართული ენის შესაბამის დონეზე, მაგალითად B2 დონეზე, ცოდნის დადასტურების პირობით."

მეორე საკითხი: შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის "გრაფიკული დიზაინის" ინგლისურენოვან საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილ ანგარიშის განხილვა.

საგანმანათლებლოპროგრამისდასახელება:გრაფიკული დიზაინი;
საფეხური:ბაკალავრიატი;
მისანიჭებელიკვალიფიკაცია:გრაფიკული დიზაინის ბაკალავრი;

დეტალურისფეროსდასახელებადაკოდი:0211- აუდიოვიზუალური ტექნიკა და მედია წარმოება;
სწავლებისენა:ინგლისური;
კრედიტებისრაოდენობა:180;

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ არა
საბჭოს თავმჯდომარემსაბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას და აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას.
საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მე-2 საკითხის ზეპირი მოსმენა.
ექსპერტების პოზიციის განხილვა.

აღნიშნული საკითხის განხილვას არ ესწრებოდა ექსპერტი, შესაბამისად სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელმა, ანი გვრიტიშვილმა მადლობა გადაუხადა ექსპერტს გაწეული შრომისთვის და ხაზი გაუსვა დასკვნაში მოყვანილ გარემოებას, რომ უნივერსიტეტმა ყველა რეკომენდაცია შეასრულა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონიათ.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 14:15
დასრულების დრო: 14:20

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის "გრაფიკული დიზაინის" ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი საბჭოს რეკომენდაციების შესრულების ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 15
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

აკრედიტაციის დებულების 27[6]- ე მუხლის მე - 2 პუნქტისა და მე-2[11]პუნქტის საფუძველზე,შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის“გრაფიკული დიზაინის“ ინგლისურენოვან საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიში საბჭოს მიერ ცნობად იქნა მიღებული.

მესამე საკითხი: შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის "საჰაერო ხომალდების საფრენოსნო ექსპლუატაციის (პილოტი)" და "საჰაერო ხომალდების საფრენოსნო ექსპლუატაციის (პილოტი)" ინგლისურენოვან საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

პროგრამა 1

საგანმანათლებლო პროგრამისდასახელება:საჰაერო ხომალდების საფრენოსნო ექსპლუატაცია (პილოტი);
საფეხური: ბაკალავრიატი;
მისანიჭებელიკვალიფიკაცია: საჰაერო ხომალდის მართვის ბაკალავრი;
დეტალურისფეროსდასახელებადაკოდი:1041 ტრანსპორტის მომსახურებები;
სწავლებისენა: ქართული;
კრედიტებისრაოდენობა: 240;

პროგრამა2

საგანმანათლებლო პროგრამისდასახელება:საჰაერო ხომალდებ ის საფრენოსნო ექსპლუატაცია (პილოტი);
საფეხური:ბაკალავრიატი;
მისანიჭებელიკვალიფიკაცია:საჰაერო ხომალდის მართვის ბაკალავრი;
დეტალურისფეროსდასახელებადაკოდი:1041 ტრანსპორტის მომსახურებები;
სწავლებისენა: ინგლისური;
კრედიტებისრაოდენობა:240;

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ კი
თვითაცილება გამოაცხადა საბჭოს მდივანმა, ვაჟა კელიხაშვილმა, აცილების საფუძველი შრომითი ურთიერთობის არსებობა დაწესებულებასთან.

აკრედიტაციის დებულების 27[2]-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომის მდივანად მესამე საკითხზე განისაზღვრა ციური დურული.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მესამე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, მილან პოლმა დამსწრეებს გააცნო პროგრამების დარგობრივი სპეციფიკა, შეფასებისას გამოკვეთილი გარემოებები და გაცემული რეკომენდაცია და რჩევა. მისი თქმით, ექსპერტების შეფასება პოზიტიურია.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ნინო ღაჭავამ აღნიშნა, რომ გაიცა ერთი რეკომენდაცია და ერთი რჩევა. უნივერსიტეტი თვლის, რომ რეკომენდაცია განვითარებაზეა ორიენტირებული და ითვალისწინებს მას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
საბჭოს თავმჯდომარემ, ლევან შავაძემ იკითხა, პრაქტიკის ბაზას უნივერსიტეტი სრულად უზრუნველყოფს თუ ასევე აფორმებს მემორანდუმებს პარტნიორ ორგანიზაციებთან. დავით ტეფნაძემ უპასუხა, რომ პარტნიორების სიმრავლის მიუხედავად, უნივერსიტეტი წლების განმავლობაში თავად უზრუნველყოფს პრაქტიკის ობიექტს პროგრამისთვის, რაც მოიცავს უნივერსიტეტის მფლობელობაში არსებულ საჰაერო ხომალდებს, სიმულატორებს.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 14:35
დასრულების დრო: 14:45

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის "საჰაერო ხომალდების საფრენოსნო ექსპლუატაციის (პილოტი)" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი კლასტერის ვადით, 2032 წლის 31 დეკემბრამდე.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 14
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტის, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2-ემუხლის პირველი პუნქტის, 27^5-ემუხ ლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის "საჰაერო ხომალდების საფრენოსნო ექსპლუატაციის (პილოტი)" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია კლასტერის ვადით - 2032 წლის 31 დეკემბრამდე.
აღნიშნული გადაწყვეტილება ძალაში შევიდა 2026 წლის 06 თებერვალს.

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის "საჰაერო ხომალდების საფრენოსნო ექსპლუატაციის (პილოტი)" ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი კლასტერის ვადით, 2032 წლის 31 დეკემბრამდე.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 14
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტის, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2-ემუხლის პირველი პუნქტის, 27^5-ემუხ ლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის "საჰაერო ხომალდების საფრენოსნო ექსპლუატაციის (პილოტი)" ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია კლასტერის ვადით - 2032 წლის 31 დეკემბრამდე.

აღნიშნული გადაწყვეტილება ძალაში შევიდა 2025 წლის 31 დეკემბერს.

მეოთხე საკითხი: სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის “საქართველოს ისტორიის” და "არქეოლოგიის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

პროგრამა 1

საგანმანათლებლოპროგრამისდასახელება:საქართველოს ისტორია;
საფეხური:დოქტორანტურა;
მისანიჭებელიკვალიფიკაცია:ისტორიის დოქტორი;
დეტალურისფეროსდასახელებადაკოდი:ისტორია და არქეოლოგია 0222;
სწავლებისენა:ქართული;
კრედიტებისრაოდენობა:40;

პროგრამა2

საგანმანათლებლო პროგრამისდასახელება:არქეოლოგია;
საფეხური:დოქტორანტურა;
მისანიჭებელიკვალიფიკაცია:არქეოლოგიის დოქტორი;
დეტალურისფეროსდასახელებადაკოდი:ისტორია და არქეოლოგია 0222;
სწავლებისენა:ქართული;
კრედიტებისრაოდენობა:40;

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ კი
თვითაცილება გამოაცხადა საბჭოს თავმჯდომარემ, ლევან შავაძემ და ვლადიმერ ადეიშვილმა, აცილების საფუძველი შრომითი ურთიერთობის არსებობა დაწესებულებასთან.
სხდომის თავმჯდომარე მეოთხე საკითხზე - ქეთევან აფთარაშვილი.
მეოთხე საკითხს არ ესწრებოდა ვაჟა კელიხაშვილი.

საბჭოს თავმჯდომარემსაბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეოთხე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, გორან დურდევიკმა დამსწრეებს გააცნო დასკვნაში მოყვანილი შეფასებასთან დაკავშირებული გარემოებები და რეკომენდაციები.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
ინგა აბრამიძემ მადლობა გადაუხადა ექსპერტებს გაწეული შრომისათვის და სწავლის შედეგებთან დაკავშირებული რეკომენდაციის შესახებ უნივერსიტეტის არგუმენტაციის გათვალისწინებისთვის.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
ქეთევან აფთარაშვილმა იკითხა თუ რა გახდა უნივერსიტეტის არგუმენტირებული პოზიციის მიღების შემდეგ, ხელმძღვანელის სამუშაო და საკონსულტაციო საათების დამატებასთან დაკავშირებული რეკომენდაციის დატოვების მიზეზი მაშინ, როცა საკონსულტაციო საათების რაოდენობა აღნიშნულია ხელმძღვანელის ხელშეკრულებაში, დატვირთვასა და სილაბუსში.
გორან დურდევიკმა უპასუხა, რომ ინტერვიუების დროს გამოიკვეთა, რომ სტუდენტები არ არიან ინფორმირებულები ხელმძღვანელთა საკონსულტაციო საათების არსებობის შესახებ. მიუხედავად ხელმძღვანელების პოზიციის, რომ ისინი მუდმივად ხელმისაწვდომები არიან სტუდენტებისთვის უნივერსიტეტში, ევროპულ და აშშ-ს პრაქტიკაზე დაყრდნობით, სილაბუსებში გაწერილი უნდა იყოს კონკრეტული სტუდენტთა საკონსულტაციო დროის მონაკვეთები. ქეთევან აფთარაშვილმა ითხოვა დაზუსტება, 2.2 კომპონენტი რატომ არის შეფასებული „სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისად“, როცა გაცემულია რეკომენდაცია. ასევე, დაწესებულების არგუმენტირებულ პოზიციაში გამოიკვეთა, რომ 4.5 კომპონენტში არ არის გაცემული რეკომენდაცია, თუმცა შეფასებულია „მეტწილად შესაბამისად“. ქეთევან აფთარაშვილმა ითხოვა ამ შეუსაბამობების დაზუსტება. გორან დურდევიკმა დაადასტურა, რომ 2.2 კომპონენტში ვადაგასულ მემორანდუმებთან დაკავშირებით მოხდა გაცემული ზოგადი რეკომენდაციის გადატანა. 4.5 კომპონენტთან მიმართებით კი აღნიშნა, რომ ტექნიკური უზუსტობაა და რეალურად მონიშნული უნდა იყოს „შესაბამისია“.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 15:00
დასრულების დრო: 15:10

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის "საქართველოს ისტორიის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი კლასტერის ვადით, 2030 წლის 01 მაისამდე, 1 წლის თავზე აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის "ა" ქვეპუნქტის, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^{2}მუხლის პირველი პუნქტის, 27^{5}მუხლი ს პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^{6}მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ" სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის "საქართველოს ისტორიის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია კლასტერის ვადით,2030 წლის 01 მაისამდე, 1 წლის თავზე აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენით.

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „არქეოლოგიის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი კლასტერის ვადით, 2030 წლის 01 მაისამდე, 1 წლის თავზე აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის "ა" ქვეპუნქტის, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^{2}მუხლის პირველი პუნქტის, 27^{5}მუხლი ს პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^{6}მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ" სსიპ -

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის "არქეოლოგიის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია კლასტერის ვადით,2030 წლის 01 მაისამდე, 1 წლის თავზე აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენით.

დღის წესრიგით განსაზღვრული საკითხების განხილვის დასრულების შემდგომ, საბჭოს სხდომა დახურულად გამოცხადდა 2026 წლის 06 თებერვლის 15:15 სთ-ზე.

საგანმნათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის მდივანი
დურული ციური

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭოს
მდივანი
კელიხაშვილი ვაჟა

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭოს სხდომის თავმჯდომარე,
აფთარაშვილი ქეთევან

საგანმნათლებლო პროგრამების აკრედიატციის საბჭო
თავმჯდომარე
ლევან შავაძე